



სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია
დანართი # 3

შეწყვეტილი და ჩაშლილი მატჩები.

1. სანქციები ჩაშლილი/შეწყვეტილი მატჩის შემთხვევაში

თუ სადისციპლინო კომისია დაადგენს, რომ :

1.1 სრკ-ს მოქმედი რეგულაციების და/ან დებულებების დარღვევა;
1.2 თამაშის წესების რეგულარული ან სერიოზული დარღვევა; და/ან
1.3 ერთერთი ან ორივე გუნდების წარმომადგენლების ან გულშემატკივრების მიერ რეგულარული ან სერიოზული ქცევის კოდექსის დარღვევა ან არამართებული ქცევა, გახდა საფუძველი მატჩის ჩაშლისა/შეწყვეტისა და მსაჯის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება იყო მართებული არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, სადისციპლინო კომისია, მატჩში მონაწილე გუნდების შესაბამისი პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, ადგენს სანქციებს, რომლებიც შეესაბამება ერთერთ ან ორივე გუნდს.

სანქციები მოიცავს, მაგრამ არ არის ლიმიტირებული, შემდეგს :

ა) გაფრთხილება, შენიშვნა (შემდგომში მსგავსი დარღვევების არ გამეორების მიზნით);

ბ) მინიჭოს ერთერთ გუნდს შესაბამისი შეჯიბრების მატჩში შესაძლო მოსაპოვებელი საცხრილო ქულები;

გ) გამოაცხადოს მატჩის შეწყვეტისას დაფიქსირებული ანგარიში საბოლოოდ ან ორივე გუნდის ბრალეულობის დადგენის შემთხვევაში გამოაცხადოს მატჩი არშემდგარად და გააბათილოს ანგარიში;

დ) გამოაკლოს ერთერთ ან ორივე გუნდს, შესაბამისი შეჯიბრების საცხრილო ქულები მთლიანად ან ნაწილობრივ;

ე) გამოუცხადოს დისკვალიფიკაცია ერთ ან ორივე გუნდის რომელიმე ან ყველა მოთამაშეს, სადისციპლინო რეგულაციის დარღვევის შესაბამისად;

ვ) ფულადი ჯარიმა;

ზ) ზემოთჩამოთვლილის ნებისმიერი კომბინაცია.



2.სანქციები გუნდის მატჩზე არ გამოცხადების შემთხვევაში

2.1 თუ სადისციპლინო კომისია დაადგენს, რომ სრკ-ს მიერ დაგეგმილი ნებისმიერი დონის მატჩი ჩაიშალა რომელიმე ან ორივე მონაწილე გუნდის საპატიო მიზეზის გარეშე გამოუცხადებლობის და/ან საშეჯიბრო დებულების მე-6 მუხლის 23 პუნქტის პირობების დარღვევის გამო, სადისციპლინო კომისია ადგენს შემდეგ სანქციებს :

2.2 მატჩზე საპატიო მიზეზის გარეშე არგამოცხადების შემთხვევაში გუნდს დააკლდება 1(ერთი) საცხრილო ქულა და დაჯარიმდება :

ა) დიდი 10-ს გუნდი 10 000(ათი ათასი) ლარით.

ბ) I ლიგის გუნდი 5 000(ხუთი ათასი) ლარით.

გ) რეგიონული და ჭაბუკთა ლიგების გუნდი 500(ხუთასი) ლარით.

2.3 იმ შემთხვევაში თუ კომისია დაადგენს, რომ დაგეგმილ მატჩზე არ გამოცხადება ემსახურებოდა კლუბის მიერ რაიმე სხვა არასამართლიანი და/ან არაკეთილსინდისიერი მიზნების მიღწევას, ასეთ შემთხვევაში სადისციპლინო კომისიას უფლება აქვს, კლუბს დააკისროს უფრო მძიმე სანქცია, რომელიც შესაძლოა იყოს საცხრილო ქულების დაკლება და/ან ფულადი ჯარიმა.

2.4 ამ დანართის 2.2 და 2.3 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, მოწინააღმდეგე გუნდს მიენიჭება შესაბამისი შეჯიბრების მატჩში შესაძლო მოსაპოვებელი საცხრილო ქულები და ანგარიში დაფიქსირდება 30 : 0.

2.5 მატჩზე საპატიო მიზეზის გარეშე არგამოცხადების განმეორების შემთხვევაში გუნდი ავტომატურად მოიხსნება შეჯიბრებიდან და მისი შემდგომში სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში მონაწილეობის საკითხი გახდება სრკ-ს შესაბამისი სტრუქტურების განხილვის საგანი.

2.6 გუნდის დაგეგმილ მატჩზე არგამოცხადების საპატიო მიზეზებს, არგამოცხადებული გუნდის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების ადეკვატურობის ხარისხზე და მტკიცებულებებზე დაყრდნობით ადგენს სადისციპლინო კომისია.

2.7 დაგეგმილ მატჩზე არგამოცხადების მიზეზის საპატიოდ ცნობისათვის, ყველა შესაძლო ადეკვატური არგუმენტის და მტკიცებულების წარდგენა ევალება დაგეგმილ მატჩზე არგამოცხადებული გუნდის მხარეს.